

კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის მედია სკოლა

თარიღი: 2011/04/16

კონფლიქტის გამუქება საინფორმაციო გამოშვებებში  
საქართველო–რუსეთის კონფლიქტის მაგალითზე

ავტორი: გვანცა ფოცხვერია

თემის ხელმძღვანელი: ეკატერინე ბასილაია

თბილისი, 2011

## შინაარსი

შესავალი .....	4
ლიტერატურული მიმოხილვა .....	5
შერჩევა და საკვლევო მეთოდი .....	10
ბიბლიოგრაფია .....	15

## აბსტრაქტი

მიმდინარე კვლევა ეხება კონფლიქტების გაშუქებას საინფორმაციო საშუალებებში რუსეთ-საქართველოს ომის მაგალითზე. კვლევის ობიექტად შერჩეული იქნა სამი ტელეკომპანიის - რუსთავი2, იმედი, საზოგადოებრივი მაუწყებელი - საღამოს საინფორმაციო გამოშვებები. საკვლევ პერიოდად განისაზღვრა 2008 წელი პირველი აგვისტოდან 15 აგვისტომდე.

## შესავალი

მედია საშუალებები საზოგადოების ინფორმირების წყაროა. ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი, ობიექტურად შეფასებული, დაბალანსებული და გასაგები. ძალიან ხშირად ქართულ მედია სივრცეში ინფორმაცია დამახინჯებულად მიეწოდება ხალხს. ამ კვლევის მიზანია, გამოვლინდეს, თუ რამდენად სწორად შუქდება კონფლიქტი საინფორმაციო გამოშვებებში. ამის დასადგენად გამოყენებულია საქართველო–რუსეთის 2008 წლის ომს, თუ როგორ გააშუქა მიმდინარე მოვლენები სამმა წამყვანმა ტელევიზიამ: რუსთავი 2–მა, იმედმა და საზოგადოებრივმა მაუწყებელმა.

კონფლიქტის გაშუქება მედიაში ასოცირდება იოჰან გალტუნგის სახელთან. მან ჩამოაყალიბა სამშვიდობო და საომარი ჟურნალისტიკის თეორიები. ამ თეორიების თანახმად, ქართულ მედიას შეთავსებული აქვს სამშვიდობო ან საომარი ფუნქცია.

ჟურნალისტებს შესაძლებლობა აქვთ საკუთარი წვლილი შეიტანონ ქვეყნებს შორის კონფლიქტის დარეგულირებაში. ამის ერთ–ერთი თვალსაჩინო მაგალითია ამერიკა – ერაყის ომი. მედია ქმნის და აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს, საზოგადოებრივი აზრი კი პირდაპირ კავშირშია სახემწიფოსა და ხელისუფლებასთან. მედია უნდა იცავდეს ხალხის ინტერესს და სამართლიანად აშუქებდეს მიმდინარე მოვლენებს. შესაბამისად, მედია უნდა აწარმოებდეს სამშვიდობო ჟურნალისტიკას.

შეკითხვები:

- რუსეთ–საქართველოს ომის გაშუქებისას ქართული მედია საშუალებები რა სახის ჟურნალისტიკას აწარმოებენ, საომარ ჟურნალისტიკას თუ სამშვიდობოს?
- რამდენად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართულმა მედიამ საშუალებებმა კონფლიქტის დარეგულირებაში?
- საინფორმაციო გამოშვებებში რამდენა იყო გამოყენებული პროპაგანდისტული ელემენტები?
- რომელ წყაროებს ეყრდნობოდა ქართული საინფორმაციო გამოშვებები?

## ლიტერატურული მიმოხილვა

ნორვეგიელმა სოციოლოგმა, იოჰან გალტუნგმა ჟურნალისტიკას მიანიჭა მნიშვნელოვანი როლი კონფლიქტის დარეგულირებაში (1953). მისი თეორიების მიხედვით, მედია საშუალებები ან ამძიმებენ სიტუაციას ან აწარმოებენ სამშვიდობო ჟურნალისტიკას. სამშვიდობო ჟურნალისტიკა მოიცავს მშვიდობაზე ორიენტირებულ მედიას. სამშვიდობო მედია არ არის მიმართული კონფლიქტში მონაწილე რომელიმე მხარის "გამარჯვებისკენ", მისთვის არ არსებობს კონცეფცია – ჩვენ და ისინი. სამშვიდობო ჟურნალისტიკა არასოდეს აკეთებს აქცენტს, თუ ვინ ისროლა პირველმა, არასოდეს არ ხდის კონფლიქტს ბურუსით მოცულს, იდუმალს, ანუ სკადალურს. პირიქით, კონფლიქტი უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე, უნდა ჩანდეს ყველა მხარის პოზიცია, აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ ხალხზე, ვინც სამშვიდობო პროცესებშია ჩართული. რაც მთავარია, ჟურნალისტები კონფლიქტის გაშუქებისას ყველა მხარეს უნდა მიუდგნენ ჰუმანურად, ყველა მხარის მოსაზრება უნდა გახადონ ცნობილი.


**კონფლიქტის მოგვარებაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა:** ძალადობაზე უარის თქმა + კრეატიულობა = მშვიდობა

**გამარჯვებაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა:** გამარჯვება + ცეცხლის შეწყვეტა = მშვიდობა

გალტუნგმა მედიას და მედიის წარმომადგენლებს დააკისრა კიდევ ერთი საპასუხისმგებლო საქმე (1953). ჟურნალისტმა კონფლიქტის გაშუქებისას აუდიტორიად უნდა მოიაზროს არა მხოლოდ საკუთარი მხარე, არამედ კონფლიქტში მონაწილე სხვა მხარეც. ინფორმაცია უნდა იყოს გათვლილი კონფლიქტის მონაწილე ყველა ერზე.

აღსანიშნავი ნაშრომია ჯეიკ ლინჩისა (2005) და ანაბელ მაკგოლდრიკის (2005) "სამშვიდობო ჟურნალისტიკა", სადაც განხილულია როგორც სამშვიდობო, ასევე საომარი ჟურნალისტიკა ამერიკისა და ერაყის კონფლიქტზე დაყრდნობით.

ავტორები განიხილავენ სამშვიდობო ჟურნალისტიკას, როგორც ანალიტიკურ მოდელს, იმ მიზნით, რომ დაადგინონ და დააკავშირონ ის შეცდომები, რომლებიც ერაყში ომის დაწყებამდე არსებობდა. ყურადღება გამახვილებულია გადამწყვეტ პერიოდზე, როდესაც ბრიტანულ მედიაში საზოგადოებრივი აზრის მოსაპოვებლად ბრძოლა მიმდინარეობდა.



ეს არის ერთ-ერთი "Newsweek"-ის ყდა ერაყში შეჭრამდე 6 თვით ადრე. ზედა მონაკვეთში გამოტანილია ამ ნომრის წამყვანი თემა – "გერმანიის რეალური პრობლემა", ქვემოთ - (თუ ძალიან კარგად დავაკვირდებით) - ფასების პრეისკურანტი, რაც ყურადღების გადატანის მცდელობაა. მაგრამ ეს ამავდროულად საინფორმაციო მოდელიცაა ("story frame"). ჟურნალი შეეცადა წარმოედგინა იმდროინდელი კონფლიქტის მხოლოდ ორი მხარე – ერაყი და აშშ, პესონიფიცირებული ორ პრეზიდენტში – ჯორჯ ბუში და სადამ ჰუსეინში.

მხარეების ასე წარმოჩენა საომარი ჟურნალისტიკის შემადგენელი ნაწილია, ისინი ერთმანეთის საპირწონეებად შეიძლება განიხილოს. ისმება შეკითხვა, რის გამო მიიღეს რედაქციაში თავიდანვე ასეთი გადაწყვეტილება? პასუხის სქემა ქვემოთ არის მოცემული:

- ეს ჰგავს გეომეტრიის მარტივ მაგალითს: ორი წერტილი შეიძლება შეერთდეს ერთი ხაზით.
- ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი ცვლილება მათ ურთიერთობაში მოხდება მხოლოდ მხოლოდ ერთი ღერძის გასწვრივ.
- ამ სქემით ერაყის კონფლიქტი აუცილებლად გადაიზრდება გადამწყვეტ ბრძოლაში. ჯორჯ ბუში ვერ მოიგებს ერთ მეტრსაც კი, თუკი ამ ერთ მეტრს არ დაკარგავს სადამ ჰუსეინი და პირიქით.
- ეს არის უშედეგო თამაში ("Zero-sum game"), რომელშიც თითოეულ მხარეს საბოლოო ჯამში მხოლოდ შემდეგი არჩევანი აქვს: გამარჯვება ან დამარცხება.

ლინჩი (2005) და მაკგოლდრიკი (2005) წერენ, რომ ჟურნალისტიკამ ერაყისა და ამერიკის კონფლიქტში საკმაოდ სერიოზული და უარყოფითი როლი ითამაშა, ისინი ამას მრავალ მაგალითზე დაყრდნობით იუწყებიან.

ავტორები სვამენ კითხვას, როგორ შეეძლო დახმარება სამშვიდობო ჟურნალისტიკას?!

კონფლიქტის განვითარების საკითხში კარგად გააზრებული პოლიტიკის არარსებობამ შესაძლოა გაზარდოს მანიპულაციების ალბათობა და გააძლიეროს "თვით-მანიპულაციები". ამ პროცესში პრიორიტეტი აქვთ საერთაშორისო ახალი ამბების რედაქტორებს (ამ სფეროში მომუშავე ჟურნალისტებზე მეტად). მათ ხშირად სურთ რეპორტაჟით მიიღონ ის, რაც შესაბამისობაშია მათ სულიერ მდგომარეობასთან, ფსიქოლოგიურ განწყობასთან და ახალი ამბების მათეულ აღქმასთან, და არა იმასთან, რაც ეფუძნება კონკრეტულ მტკიცებულებებს. ჯორჯ პასკო-ვატსონი "ბრძოლა თავისუფლებისათვის – მტკიცებულებების 21 გვერდი", (ლონდონი, 5 ოქტომბერი, 2001).

პიუს კვლევის ცენტრმა დაადგინა, რომ ომის დაწყებამდე ამერიკელების 66%-ს სჯეროდა, რომ სადამ ჰუსეინი 11 სექტემბრის თავდასხმაში ჩართული იყო, და ეს მაშინ, როდესაც 79% მიიჩნევდა, რომ ერაყი ფლობდა ატომურ იარაღს, ან ძალიან ახლოს იყო მის შექმნასთან. ლინჩი (2005) და მაკგოლდრიკი (2005) წერენ, რომ არსებობს ძალიან ბევრი თემა დეტალური დისკუსიისთვის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დისკუსიებამდე ერაყს არასწორად დაბრალდა ბევრი რამ. ამ დისკუსიის წარმართვა კი სწორედ მედიის მოვალეობაა.

საომარი ჟურნალისტიკის ერთ-ერთი მახასიათებელი არის "ინტერესიანი უინტერესობა" – როდესაც წერ იმას, რასაც გთავაზობენ ყოველგვარი კვლევის გარეშე. გალტუნგის ცხრილში ამ დეტალს თავისი ადგილი აქვს – ეს არის შემთხვევა, როდესაც ჟურნალისტი თანახმაა არადამიანურად წარმოაჩინოს "სხვები" და გაზარდოს იარაღის როლი კონფლიქტში.

დუალიზმს მივყავართ მონოთეიზმამდე – "ჩვენ" კარგები ვართ, "ისინი" – ცუდები. აქედან გამომდინარე კი საჭიროა "მათი" დემონიზაცია და დეჰუმანიზაცია. ბევრმა ჟურნალისტმა ბრიტანულ მედიაშიც და სხვაგანაც არ მოინდომა ამ პროცესში ჩართვა. სწორედ მათი ძალისხმევა ითვლება სამშვიდობო ჟურნალისტიკის მაგალითებად. ლონდონის "*Guardian*"-ის რედაქტორმა ადამ რუსბრიჯერმა აღნიშნა:

ყველა ომში არის მცდელობა იმისა, რომ მოხდეს მტრის დე-ჰუმანიზაცია (მტერი არ არის ადამიანი) და მისი დე-პერსონიფიცირება. მაგრამ ვფიქრობ, რომ როცა გყავს სუხან გოლდენბერგის მსგავსი საკუთარი კორესპონდენტი, რომელიც ესაუბრება რიგით ერაყელებს და აჩვენებს მათ ადამიანებად, ეს ნამდვილად არის ახალი ელემენტი ომში. ძალიან თვალსაჩინოა, როგორ არ მოწონთ პოლიტიკოსებს ამგვარი "გამოხტომები", რადგანაც ასეთი ადამიანური სურათების შექმნა ძალიან რთულს ხდის ნაციისთვის ომში წასვლას და იქ ბრძოლას. ჩემი აზრით, "*Guardian*"-ის რეპორტაჟების ჰუმანურობა, ასევე

ბაღდადში "მეოთხე არხის" კორეპონდენტის – ლინდსლის მასალები აბსოლუტურად განსხვავებული სტრუქტურის იყო. ვფიქრობ, მსგავს მიდგომებს ფუნდამენტურად შეუძლიათ შეცვალონ ომის აქამდე არსებული აღქმა.

ნაშრომში – *COVERING CONFLICT reporting on conflicts in the North Caucasus in the Russian Media. ARTICLE 19* (ლონდონი, 2008) ასახულია, თუ რა მდგომარეობა იყო იმ დროისთვის რუსულ მედია სივრცეში, როგორც შექდებოდა კონფლიქტი საინფორმაციო გამოშვებებში. ავტორები ორიენტირებულნი იყვნენ, ამოეხსნათ ამოცანა, თუ რამდენად იყენებდა რუსეთის ხელისუფლება მედია საშუალებებს საკუთარ ბერკეტად. ნაშრომში განხილულია სხვადასხვა კონფლიქტები: საბჭოთა კავშირის, პოსტ-საბჭოთა კავშირის, ჩეჩნეთის; ასევე საუბარია ისეთი კონფლიქტების გაშუქებაზე, როგორიცაა ტერორისტული აქტები. *ARTICLE 19*-ი წერდა, რომ რუსეთში ინფორმაცია შექდებოდა არაობიექტურად და მიკერძოებულად. ხელისუფლების წარმომადგენლები საკუთარი ინტერესის თანახმად აკონტროლებდნენ მედია სივრცეს. პროპაგანდა განუყრელი ნაწილი იყო რუსული ტელევიზიის. ამ პროპაგანდის მთელი არსი კი იყო ის, რომ მთავრობას გაემართლებინა საკუთარი თავი და მოეპოვებინა საზოგადოების მხარდაჭერა.

### საქართველო და რუსეთი

საქართველოს საპატრიარქოსა და კონრად ადენაუერის ფონდის ინიციატივით ჩატარდა კვლევა "საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები" (თბილისი, 2009). ნაშრომში დეტალურად არის აღწერილი საქართველო-რუსეთის კონფლიქტის მიზეზები და შედეგები. რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი დასაბამს ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში იღებს. რაც მეტყველებს იმაზე, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის სრული ჰარმონიული ურთიერთობა, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

2008 წლის ომის პრე-ისტორია შემდეგნაირი იყო. 2003 წლის ზაფხულიდან კრემლმა დაიწყო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება. ეს უკანონო პასპორტიზაცია ნიშნავდა საქართველოს სამოქალაქო სივრცის ნაწილის ანექსიას.

2008 წლის 16 აპრილს, რუსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა გამოსცა დეკრეტი, რომლის თანახმადაც მის კაბინეტს დაევალა "განსაკუთრებული ურთიერთობები" დაემყარებინა სამხრეთ-ოსეთის მთავრობასთან და ცხინვალში გაეხსნა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობა. ამ აქტით დე-ფაქტო



აღიარებულ იქნა სამხრეთ-ოსეთის დამოუკიდებლობა, ხოლო რუსეთის შეიარაღებული ძალების მფარველობის ქვეშ მყოფმა ხელისუფლებამ, ეს ფაქტი ისე გამოიყენა, როგორც სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიიდან ეთნიკური ქართველების განდევნის ნებართვა.

2008 წლის 1 და 2 აგვისტოს, სამხრეთ-ოსეთის არაფორმალური შეიარაღებული ძალების მიერ, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეთნიკური ქართველებით დასახლებული სოფლები დაიბომბა. 2008 წლის 7 აგვისტოს, სამხრეთ-ოსეთში თავისი მოსახლეობის დაცვის, წესრიგისა და კანონიერების აღდგენის მიზნით, საქართველოს ავტონომიური რეგიონის ტერიტორიაზე საქართველოს ჯარი შევიდა. მეორე დღეს, რუსეთის შეიარაღებული ძალების მოქმედი შენაერთები შეიჭრნენ საქართველოში, გაანადგურეს მისი ჯარები, სატრანსპორტო საშუალებები და ეკონომიკური ინფრასტრუქტურა სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ. რუსეთის ქმედებების გასამართლებელ საბუთად, ქართული სამხედრო შეტევისაგან სამხრეთ-ოსეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების დაცვა დასახელდა. საქართველოს პროვინციის, სამხრეთ-ოსეთის სამხედრო ოკუპაციის დასრულების, ქართველებისა და ქართული ხელისუფლების რეგიონიდან გამოძევების და პრო-რუსული მთავრობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შემდეგ, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა, დიმიტრი მედვედევმა გამოსცა დეკრეტი, სამხრეთ-ოსეთის რესპუბლიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შესახებ.

შვეიცარიელი დიპლომატის ჰაიდი ტალიავინის თაოსნობით 2009 წლის 23 ოქტომბერს მომზადებულ იქნა რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის ანგარიშები. მომზადებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ “2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამეს, საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ ცხინვალის დაბომბვით, აღინიშნა საქართველოში ფართომასშტაბიანი კონფლიქტის დაწყება. თუმცა, ეს იყო მზარდი დაძაბულობის, პროვოკაციებისა და ინციდენტების ხანგრძლივი პერიოდის კულმინაციის წერტილი.

### **შერჩევა და საკვლევი მეთოდი:**

საკვლევი თემას წარმოადგენს კონფლიქტების გაშუქება საინფორმაციო გამოშვებებში რუსეთ-საქართველოს ომის მაგალითზე. კვლევის ჩასატარებლად განისაზღვრა კონტენტ ანალიზის მეთოდი, რაც გულისხმობს დროის გარკვეულ მონაკვეთში რუსეთ-საქართველოს ომის გაშუქებული მასალის მოძიებას და მისი შინაარსის განხილვას.

### **უნივერსის განსაზღვრა:**

იმის შესასწავლად, თუ როგორ გაშუქდა რუსეთ-საქართველოს ომი საინფორმაციო გამოშვებებში, შეირჩა სამი ტელევიზია: რუსთავი2, იმედი და საზოგადოებრივი მაუქყებელი. აღნიშნული სამი ტელევიზია მაუწყებლობს მთელი ქვეყნის მასშტაბით და რეიტინგულია. საკვლევი პერიოდი განისაზღვრა - პირველი აგვისტოდან 15 აგვისტოს ინტერვალი. მართალია ომმა სულ ხუთ დღეს გასტანა, მაგრამ საინტერესოა, ასევე პრე და პოსტ ფაქტები, რა და როგორ შუქდებოდა.

კვლევის განსახორციელებლად გამოყენებული იქნება მიზნობრივი შერჩევა, რადგან თითოეულ კვლევით ნიმუშში წარმოდგენილი უნდა იყოს ის მახასათებლები, რასაც კვლევა შეისწავლის. გამომდინარე იქიდან, რომ საკვლევი პერიოდი საკმაოდ მცირე ინტერვალს მოიცავს, მოხდა ყველა სალამოს საინფორმაციო გამოშვებების შერჩევა. შესაბამისად, საკვლევი თემის ანალიზის ერთეულად განისაზღვრა სალამოს საინფორმაციო გამოშვებები - ნიუსები, პირდაპირი ჩართვები, სიუჟეტები, ანალიტიკური რეპორტაჟი და ა.შ.

### **შინაარსობრივი /ანალიტიკური კატეგორიების შედგენა**

კატეგორიების გასაანალიზებლად წარმოდგენილია საკვლევი შეკითხვები:

- რუსეთ-საქართველოს ომის გაშუქებისას ქართული მედია საშუალებები რა სახის ჟურნალისტიკას აწარმოებენ, საომარ ჟურნალისტიკას თუ სამშვიდობოს?

საომარი და სამშვიდობო ჟურნალისტიკის გასამიჯნად იოჰან გალტუნგმა შეიმუშავა ცხრილი, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იქნეს კოდირების დროს. ამ

ცხრილის მეშვეობით დადგინდება, თუ როგორ ჟურნალისტიკას აწარმოებდნენ საინფორმაციო გამოშვებები რუსეთ-საქართველოს ომის გაშუქებისას.

საომარი ჟურნალისტიკა	რუსთავი2	იმედი	საზ. მაუწყებელი	სამშვიდობო ჟურნალისტიკა	რუსთავი2	იმედი	საზ. მაუწყებელი
ძალადობის გაშუქება				კონფლიქტური სიტუაციების გაშუქება			
დადგენა ფაქტის, ვინ ისროლა პირველმა				განსაზღვრავს კონფლიქტის დროს, სივრცეს, მიზეზს და შედეგს			
კონფლიქტს ბურუსით მოცულს ხდის				კონფლიქტს ხდის გამჭვირვალეს			
ბოროტად მხოლოდ მოწინააღდეგეს მოიხსენიებს				ბოროტების ყველა ჩამდენს თავის სახელს არქმევს			
მშვიდობა= გამარჯვება + ცეცხლის შეწყვეტა				მშვიდობა= ძალადობაზე უარის თქმა			
მაღავს სამშვიდობო ინიციატივებს				აშუქებს სამშვიდობო ინიციატივებს			

- რამდენად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართულმა მედია საშუალებებმა კონფლიქტის დარეგულირებაში?

კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა დაიშიფროს თითოეული ახალი ამბავი ანუ ანალიზის ერთეული. საჭიროა, საფუძვლიანად გაიშიფროს ტექსტები და გაანალიზდეს კადრები.

- საინფორმაციო გამოშვებებში რამდენა იყო გამოყენებული პროპაგანდისტული ელემენტები?

კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა დაიშიფროს ყველა სადამოს საინფორმაციო გამოშვება. აქცენტირება უნდა გაკეთდეს ჟურნალისტთა ტექსტებზე. ჯეიკ ლინჩისა და ანაბელ მაკგოლდრიკის მიხედვით პროპაგანდის ამოცნობა შესაძლებელია სწორედ ტექსტებში.

პროპაგანდისტული ტექსტები:

- ჩვენ ვართ საფრთხის ქვეშ!
  - ჩვენ გვაქვს მხარდაჭერა! (საერთაშორისო)
  - ჩვენ ვებრძვით ბოროტების ჩამდენებს!
  - ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ დრო არ ითმენს!
- რომელ წყაროებს ეყრდნობოდა ქართული საინფორმაციო გამოშვებები?

კითხვაზე პასუხის გასაცემად თითოეულ სადამოს საინფორმაციო გამოშვებაში გამოიყოფა ინფორმაციის წყაროები, დაიშიფრება კატეგორიების ქვეშ: ადგილობრივი ჟურნალისტები, ნაციონალური/საერთაშორისო ჟურნალისტები, ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები, ადგილობრივი მოსახლეობა, ომის მსხვერპლნი, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, რუსეთის მთავრობის წარმომადგენლები, სხვები.

კატეგორიებს დამეატება კატეგორია „სხვა“, სადაც ისეთი ერთეულები განთავსდებიან, რომლებიც სხვა კატეგორიებს არ შეესაბამებოდნენ. ასევე დამეატება კატეგორია „გაურკვეველი“, რაც გულისხმობს გაურკვეველ მასალას. კატეგორია „შერეულში“ მოხვდება ისეთი მასალა, რომელიც რამდენიმე კატეგორიას მიეკუთვნება.

იმისათვის, რომ საკვლევ შეკითხვებზე გაცემული იქნას სიზუსტესთან მიახლოებული პასუხები, საჭიროა კოდირების სახელმძღვანელოს შედგენა:

1. ანალიზის ერთეულის საიდენტიფიკაციო ნომერი (0001-დან 1000-მდე)
2. ტელევიზიები: „რუსთავი2“, „იმედი“, საზოგადოებრივი მაუწყებელი
3. გასვლის თარიღი და დრო  
მასალის შესახებ:
4. ბლოკი (პირველი, მეორე, მესამე)

5. რიგითობა
6. სიუჟეტის ქრონომეტრაჟი
7. მასალის ტიპი: ახალი ამბავი, პირდაპირი ჩართვა, სიუჟეტი, ანალისტიკური სიუჟეტი, სხვა.

**მასალაში ასახული სამი ყველაზე მნიშვნელოვანი, აქცენტირებული თემა:**

8. დაუნდობელი რუსეთი და ბედკრული საქართველო.
9. ვინ დაიწყო ომი, იგულისხმება ვინ ისროლა პირველმა - რუსეთი თუ საქართველო.
10. მედია მცდელობა საზოგადოების აგიტაციისა.

**კატეგორიები 9-11 ერთეულებისათვის:**

- 1) ძალადობის კადრები
- 2) ნასვამი რუსი მეომრები
- 3) საერთაშორისო მხარდაჭერა - სარკოზი საქართველოში
- 4) გაცეცხლებული რუსი გენერალი - ლავროვი
- 5) სხვა

**წყაროები:**

კოდირების კატეგორიები: 1. დიახ                      2. არა

1. ადგილობრივი ჟურნალისტები
2. საერთაშორისო ჟურნალისტები
3. ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები
4. ადგილობრივი მოსახლეობა
5. ომის მსხვერპლი
6. საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები
7. სხვები

ანალიზის ერთეულის გაშიფვრისას, იმისათვის რომ გვარკვიოთ, რა რომელი კატეგორიის ქვეშ მოთავსდეს, საჭიროა, შეიქმნას „კოდერების ინსტრუქცია“. ამასთან მონაცემთა დამუშავებისას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს კოდერების სუბიექტურობას, ამის თავიდან ასარიდებლად, მათ უნდა მიეწოდოთ გასაგები ინსტრუქცია.

**კოდერების ინსტრუქციის ნიმუში კონფლიქტების გაშუქებაზე საინფორმაციო გამოშვებებში:**

1. ანალიზის ერთეულის საიდენტიფიკაციო ნომერი (0001-იდან 1000-მდე)
2. ტელევიზია : „რუსთავი2“, „იმედი“, საზოგადოებრივი მაუწყებელი
3. გამოშვების თარიღი და დრო

მასალის შესახებ:

მითითებული იქნება ბლოკი, რომელშიც საჭირო მასალა იქნა გაშუქებული.  
 მითითებული იქნება დრო და დაიწყება ანალიზის ერთეულის დანომვრა  
 ორციფრიანი მეთოდით - 01, 02,....

**კოდირების ცხრილი:**

კოდერის სახელი: \_\_\_\_\_

გაშიფვრის თარიღი: \_\_\_\_\_

- |  |       |
|--|-------|
| 1. სიუჟეტის საიდენტიფიკაციო ნომერი (0001-1000) | ----- |
| 2. ტელევიზია                                   | -     |
| 3. ეთერში გასვლის თარიღი და დრო                | ---   |
| 4. ბლოკი (1, 2, 3, 4)                          | -     |
| 5. სიუჟეტის ხანგრძლივობა                       | --    |
| 6. მასალის ტიპი                                | ---   |
| 7. რიგით პირველი ძირითადი ტიპი                 | -     |
| 8. რიგით მეორე ძირითადი ტიპი                   | -     |
| 9. რიგით მესამე ძირითადი ტიპი                  | -     |

### ბიბლიოგრაფია

- ჯოჯუა, დაზმირი (2003). *საქართველო - რუსეთი; კონფლიქტის ისტორია; არასამთავრობო ორგანიზაცია; "საქართველოს დეპუტატთა კლუბი-28 ოქტომბერი"*.
- Suresh, Kalyani (2003). *Journalism and Mass Communication*. Chapter 2: Theoris of Communication
- Resources on Media (2008), *Conflict and Society*.
- Lynch, J. & A. McGOLDRICK (2005). *Peace Journalism*; London;
- Johan Galtung (1998); *War Journalism; Peace Journalism*;
- ARTICLE 19, London, 2008; *Covering Conflict – Reporting on Conflicts in the North Caucasus in the Russian Media*
- ჰაიდი ტალიავინი (2009); *საქართველო-რუსეთის ომი*;
- ჯორჯ პასკო-ვატსონი (ლონდონი, 5 ოქტომბერი, 2001); *"ბრძოლა თავისუფლებისათვის – მტკიცებულებების 21 გვერდი"*,